

№3. 2020 წ.
აფქომ



კონს-ვრებუდი ყვედახე წაცარებისტვის

საყვავილო ჟურნალ „იალქნის“ ნობათი



აბა, განი, აბა, განი,
გაიშალა იალქანი,
უხმობს ზურგის ქარს აფქიო,
შევეგებოთ ჩვენც დაფიონს!

„აფქიო“ №3 (20). 2020 წ.

კონა-კრუბული ყველაზე პატარებისთვის

„აფქიოს“ ნორჩი ავტორები



ბგ. 19



ბგ. 20



ვანტანგ მეფე

ვანტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს რეკა!



თამარ ქალი

თამარ ქალი, ქვეყნის თვალს,
რა ლამაზი რამე ხარო!
ნეტავ, რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა?!


ნეტავ, რა არის მისთანა,
მეფისა თამარისთანა?
ნეტავ, რა არის მისთანა,
საყდარი გელათისთანა?!



ერეკლე მეფე

ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვებს,
გაჰკურა ხელი და გახია!

იოანე ნათლისმცემელი



**იოანე
ნათლისმცემელი**

იესო ქრისტე დაიბადა 2000 წლის წინათ, ისრაელში. ამბავი, რომელიც დღეს უნდა მოგიყვეთ, იესოს მიმდევარმა ლუკამ დაგვიწერა. მაშინ გალილეაში, ჰეროდეს მეფობისას, ცხოვრობდა უშვილო ებრაელი წყვილი, მღვდელი ზაქარია და მისი ცოლი ელისაბედი.

ერთ დღეს, ტაძარში მსახურებისას, ზაქარიას გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი. თავიდან ზაქარიას შეეშინდა.

– მე უფლისგან ვარ მოვლენილი და ჩემი ნუ გეშინია, – აუწყა ანგელოზმა – თქვენ ბედნიერება გეწვევთ, და გეყოლებათ შვილი, რომელიც იღვანებს უფლისთვის! მას იოანე უნდა დაარქვათ!

ზაქარია საკმაოდ ასაკოვანი იყო და ეჭვით აღიქვა მთავარანგელოზის სიტყვები, ჩვენ შვილი როგორ გვეყოლებაო.

– რადგანაც ჩემი არ გჯერა, შენ დამუწჯდები მანამდე, ვიდრე შვილი არ გეყოლება! – უთხრა ანგელოზმა.

ელისაბედმა მართლაც გააჩინა ვაჟი. ყველა გაოცებული იყო ამ სასწაულით: ცოლ-ქმარს შვილი ხომ სიბერეში შეეძინათ.

ვაჟისთვის, ტრადიციით, მერვე დღეს უნდა დაერქმიათ მამის სახელი. ყველას გაუკვირდა, როცა ელისაბედმა თქვა, შვილს ჩვენ იოანეს ვარქმევთო. შეკითხვით მიმართეს ზაქარიასაც. მას ლაპარაკი არ შეეძლო და ამიტომ ნათესავებს ხელით ანიშნა, დაფა მომიტანეთო. მასზე მან გარკვევით დაწერა: „იოანეა მისი სახელი!“

ოთახში მყოფნი ისევ სხვა სასწაულის მოწმენი გახდნენ: ზაქარია ალაპარაკდა. უფალს მადლობაც შესწირა ამ წყალობისთვის.

გავა წლები და ახდება მთავარანგელოზის სიტყვები: იოანე, შემდგომში იოანე ნათლისმცემელი, მდინარე იორდანეში მონათლავს იესო ქრისტეს და დაუღალავადაც იღვანებს მისთვის.



ქრისტეს ნათლობა იორდანეში

მორის ფოცხიშვილი

სახალწლო

რაც ძველია, ძველია,
ძველია და მიდის,
დღეს ახალი წელია,
ზეიმია დიდი!

დაფიფქული წარბებით,
დათრთვილული ქუდით,
თოვლის პაპა მოვიდა,
თოვლი მოაქვს გუდით.

აბა, ჩქარა, ბავშვებო,
ავაჩქაროთ ხელი,
თორემ დაგვიძველდება
ეს ახალი წელი!



დალი მუხაძე

შობის დილა

ალილო და ჰეო,
გამობრწყინდა მზეო,
ალილო და ალილო,
დილა არის სალხინო.
თეთრი, თეთრი ფანტელი
ჩიტის ფრთაზე ეცემა...
გეხმარებით უპოვრებს,
ღმერთი ჩვენც შეგვეწევა.

მოგილოცავთ შობას და
ახალი წლის შემოსვლას!
ეზოებს და აივნებს
თოვლი თეთრად შემოსავს.
ბროლისთვალა ზამთარი
დაიღვრება ფიფქებად
და ეს წელიც ახალი,
ბედნიერი იქნება!



კიტრაბუცა

ნუნუ ჯანელიძე



ოდესღაც ამ სამეფოს სანუკვარი ერქვა. სანუკვარ ქვეყანაში ყველგან ხარობდა ასნლოვანი, ფოთოლხშირი და მშვენიერი სიმართლის ხეები. ადამიანები უფროთხილდებოდნენ სიმართლის ხეებს და ბედნიერადაც ცხოვრობდნენ. მაგრამ ერთ დღეს, როცა იქაურობა შორეული ქვეყნის მეფემ დაიპყრო, სანუკვარ სამეფოში ძალიან ცუდი ამბები დატრიალდა.

დამპყრობელმა მეფემ ბრძანა, მთელ ქვეყანაში აეჩხათ სიმართლის ხეები. როგორც კი სიმართლის ხეები აჩეხეს, სანუკვარ სამეფოში საოცარი რამ მოხდა – უეცრად სადღაც გაქრა სინდის-ნამუსი; ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო, მის კვალსაც კი ვერსად მიაგნეს. დაღონდა პატიოსანი ხალხი, სამაგიეროდ, ფრთები გაშალეს უსინდისობმა და სიხარულის ტაში შემოჰკრეს, გვეშველა, ჩვენი დრო დადგაო.

მართლაც, სანუკვარ სამეფოში სინდის-ნამუსის

დაკარგვასთან ერთად ასად აყვავდა უსამართლობა, უსამართლობას მექრთამეობა მოჰყვა, მექრთამეობას სილატაკე და თანდათან დაჩაჩანაკდა ქვეყანა. სადღა იყო სანუკვარი სამეფო, მისგან მხოლოდ სახელი დარჩენილიყო. გმინავდა ხალხი უცხო დამპყრობლის ხელში, მაგრამ მშველელი არსად ჩანდა. ვინმე თუ პროტესტის ნიშნად ხმას ამოიღებდა, უმალ ციხეში მიაბრძანებდნენ. მალე საპყრობილეები გადაივსო პატიმრებით, სახლში ბავშვებსა და მოხუცებსღა ნახავდით.

მაგრამ ბავშვებსაც შეუძლიათ დიდი და სასახელო საქმეების გაკეთება, თუ გულით მოინდომებენ. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიად და კეთილ საქმეებს სწორედ ბავშვივით სუფთა და წრფელი გულის მქონე ადამიანები აკეთებენ.

ჰოდა, სანუკვარ ქვეყანაში მოხუც ბაბუასთან ერთად მართლაც ცხოვრობდა ერთი ასეთი ბიჭუნა, სახელად კიტრაბუცა (მშობლები ციხეში ჰყავდა უსამართლოდ გამომწყვდეული).



ბიჭი ძალიან დარდობდა დედ-მამაზე, ეცოდებოდა უმწეო მოხუცი ბაბუა და ფიქრობდა, როგორ ეპოვა გამოსავალი. ერთ დღეს მამაცმა კიტრაბუცამ ბაბუას უთხრა:

– გადავწყვიტე, სინდის-ნამუსის მოსაძებნად წავიდე, რადგან მის გარეშე მალე საბოლოოდ დავიღუპებით!

შენუხდა ბაბუა, მაგრამ შვილიშვილს რომ ვერაფრით გადაათქმევინა სიტყვა, ჯიბიდან სიმართლის ხის ნაყოფის ერთადერთი გადარჩენილი მარცვალ ამოიღო, ბიჭს მისცა და დაარიგა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოეყენებინა.


გაუდგა გზას ჩვენი კიტრაბუცა. მიდის, მიდის და ხედავს, ოსტატს გამოუყვანია თავისი შეგირდები და ტყუილის ხელოვნებას ასწავლის.

ეს როგორ, ჰკითხა ბიჭმა, ასე ხომ დაიღუპა ქვეყანაო. სამაგიეროდ თვითონ გადარჩებიან, შენ ამას არავინ გკითხავს, შენს გზას ენეო, შეუბღვირა ოსტატმა. მიდის კიტრაბუცა და ახლა ვაჭარი დაინახა, ქატოს ჰყიდდა და თან იძახდა, უმაღლესი ხარისხის ფქვილია, იჩქარეთ, თორემ იღვევაო. საბრალო ხალხი ქატოსაც არ დაეძებდა, ოღონდ მშვიერი არ დარჩენილიყო.

კიტრაბუცა რაც უფრო წინ მიინევადა, მეფის კარისკენ, უსამართლობა სულ უფრო იზრდებოდა. ახლა მოსამართლე დაინახა, მანტია უკუღმა ჰქონდა მორგებული და ისეთ გადანყვეტილებებს იღებდა, მზე ღრუბელს ეფარებოდა სირცხვილით.

როგორც იქნა, კიტრაბუცამ მიაღწია მეფის სასახლეს და ატეხა ყვირილი, სასწრაფოდ მეფესთან შემიშვით, მისთვის საიდუმლო სიტყვა მაქვს სათქმელიო. მეფემ აივნიდან გადმოიხედა, შემოიყვანეთო.

მიჰგვარეს მეფეს კიტრაბუცა. რა გინდა, ჰკითხა მბრძანებელმა. დაკარგულ სინდის-ნამუსს ვეძებ და კვალმა აქ მომიყვანაო. როგორ მიბედავ, განრისხდა მეფე, მცველებო, გარეთ გააგდეთ ეს თავხედიო. დასტაცეს ბიჭს კარისკაცებმა ხელი და, ის იყო, დარბაზიდან უნდა გაეთრიათ, რომ კიტრაბუცამ გულის ჯიბიდან ამოიღო ბაბუის





ნაჩუქარი სიმართლის მარცვალი და ტახტის მიმართულებით ისროლა. იგორა მარცვალმა, იგორა და ტახტის ქვეშ შეგორდა. შეგორდა და შოი, საოცრებავ, გაღვივდა სიმართლის მარცვალი, გაიზარდა, გაიტოტა და უზარმაზარ ხედ იქცა. რა თქმა უნდა, სიმართლის ხემ ტახტი თავის მეფიანად იმ წამსვე ამოაყირავა და, ვინ იცის, საით მოისროლა, ტახტის ქვეშ კი სანუკვარი ქვეყნის დაკარგული სინდის-ნამუსი არ გამოჩნდა!

კიტრაბუცა ხელიდან დაუსხლტდა გაოცებისგან პირდაღებულ კარისკაცებს, დასტაცა ხელი სინდის-ნამუსს და გახარებული გამოვარდა სასახლიდან.

მიდის კიტრაბუცა, მიდის და ერთი სული აქვს, როდის მიაღწევს სახლამდე. დაინახა მოსამართლე, რომელიც ისეთ სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებდა, მსჯავრდებულებსაც კი უკვირდათ; ვაჭარი უმაღლესი ხარისხის ფქვილს თითქმის ქატოს ფასად ჰყიდდა და წონას უმატებდა კიდეც, ხოლო ოსტატი თავის შეგირდებს მხოლოდ სიმართლეზე ელაპარაკებოდა.

კიტრაბუცა გახარებული დაბრუნდა სახლში და ბაბუას სინდის-ნამუსი გადასცა, მან კი მთელ ქვეყანას გაუზიარა ლოცვითა და სიყვარულით.

ამასობაში გულმოცემული მთელი სანუკვარი ქვეყანა ფეხზე დადგა და შორეული სამეფოს მეფესა და მის დამქაშებს კუდიტ ქვა ასროლინეს.

ასე გადაარჩინა პატარა ბიჭმა დიდი ქვეყანა. სანუკვარ სამეფოში ისევ გააშენეს სიმართლის ხეები და ხალხმა ისევ ბედნიერად დაიწყო ცხოვრება. ისე, შეხსენებისთვის, სანუკვარი ხომ საოცნებოს ნიშნავს და ქვეყანა რომ მარად საოცნებო იყოს, არასოდეს, არასოდეს არ უნდა დათმოს სიმართლის ხეები და სინდის-ნამუსი.



ლევანიკო, 5 წლის

ლევანიკო, ჯერ კიდევ 4 წლისა, ანბანის ყველა ასოს ცნობდა. ერთ დღით ერთობოდა ნახატებიანი კუბიკებით, სადაც თითოეულ ნახატზე იმ საგნის აღმნიშვნელი პირველი ასოც ეწერა. ვაშლზე ასო „ვ“, გემზე – „გ“ და ა.შ.

ბოლოს ხელში აიღო კუბიკი ზედ მოხატული ჯაგრისითა და მიწერილი ასო „ჯ“-თი. გაცეცხულმა ლევანიკომ თავისთვის ჩაილაპარაკა:

– მე მეგონა, ეს იყო ჩოთქი და თურმე ჯოთქი ყოფილა!



ალექსანდრე, 3 წლის

დედიკოს ალექსანდრე კალთაში უზის და უკითხავს ზღაპრებს. პატარა ყურადღებით უსმენს. ზღაპრის მთავარი პერსონაჟი იყო საყვარელი წინილა წიპა, ცელქი და ონავარი. როცა კითხვას მორჩნენ, დედამ ჩაიხუტა ალექსანდრე და თან დააყოლა:

- აი, შენა ხარ ჩემი პატარა წინილა!
- ალექსანდრემ ახედა დედიკოს და იკითხა:
- შენ კი ჩემი დიდი ქათამი, არა, დედიკო!

გურამიკო, 5 წლის



ბაღში პატარა გურამიკოს სხვა პატარებთან ერთად მათემატიკაში ამეცადინებდნენ. თინიკო მასწავლებელს მაგიდაზე ეწყო ვაშლები და ხუთის ფარგლებში ბავშვებს უსვამდა შეკითხვებს. ბოლოს მიუბრუნდა გურამიკოს:

– აბა, გურამიკო, ახლა შენ უნდა იყოჩალო. 3 ვაშლიდან 2 ქეთის რომ მისცე და 1 ნოდისკოს, შენ რამდენი დაგრჩება?

გურამიკო ერთხანს ხმას არ იღებდა. ბოლოს თქვა:

– რა ცუდი ყოფილა მათემატიკა! ვაშლი მეც ხომ უნდა დამრჩეს!



ანდრია პირველწოდებული

ქრისტეს მონაფეებმა და ღვთისმშობელმა მარიამმა წილი ყარეს, ვინ რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო ქრისტიანობის საქადაგებლად. საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს, მაგრამ მაცხოვარმა უთხრა სიზმარში: „შენს მაგივრად საქართველოში გაგზავნე მოციქული ანდრია პირველწოდებული!“ წმინდა ანდრიამ, ქრისტეს 12 მოციქულიდან პირველმა,* წმინდა სიმონ კანანელთან ერთად უქადაგა გურულებს, იმერლებს, მეგრელებს, აფხაზებს და ბევრი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ეს იყო პირველ საუკუნეში.

ცაზე გაცილებით მეტი

ვარსკვლავია, ვიდრე ქვიშის ნაწილაკები დედამიწაზე.

ციყვები თხილს მიწაში ინახავენ, მაგრამ ხშირად მას ველარ პოულობენ. ასე შენახული თხილისგან ახალი მცენარე იზრდება.

ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ თოჯინებს შორის არის ძველი ეგვიპტელების მიერ დამზადებული ხის თოჯინები, რომლებიც 3000 წელზე მეტი ხნისაა.

კოალა პატარა ჩანთოსანი დათვია, რომელიც ხეზე ცხოვრობს, დღე-ღამეში 18-დან 22 საათამდე სძინავს. კოალა ჭამს მხოლოდ ევკალიპტის ფოთლებს, რომელიც შხამიანია. საბედნიეროდ, ამ ცხოველს შეუძლია შხამიანი ნივთიერების გადამუშავება.



კოალა

დღევანდელ სოხუმს უძველეს დროს ერქვა დიოსკურია, ოჩამჩირეს – გიენოსი, ბიჭვინთას – პიტეინტი. სამივე ეს ქალაქი საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთშია.

ხეებს შორის ყველაზე სწრაფად იზრდება ბამბუკი – ყოველ დღე ნარგავი 100 სმ-ით იმატებს.

არის კურდღლის სახეობა, მინის კურდღლის სახელწოდებით. ჩვეულებრივი კურდღლისაგან განსხვავებით, ის დიდ მანძილზე ხტება და გარეგნულად პატარა კენგურუსაც კი ჩამოჰგავს.

მგელი გაბრაზებას ყურების უკან გადანევითა და დაკრეჭილი კბილებით გამოხატავს.

ზოგი ღამურა ძილქუშის დროს ორ საათში ერთხელ ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს.



3000 წლის ეგვიპტური თოჯინა



ბამბუკის ხეივანი

* – უფალმა მონაფეებს შორის პირველად ანდრიას მოუწოდა და ამიტომაც ეწოდა მას პირველწოდებული.

ირმებზე ნადირობა



ერთხელ მეგობრებმა ილია ჭავჭავაძე სანადიროდ წაიყვანეს.

ძაღვებმა გამოაქციეს ერთი ირემი, რომელიც შორიახლო დადგა და ადგილზე გაშეშდა. მონადირეებიც იქვე ჩასაფრებულიყვნენ. ირემი ყველაზე ახლოს ილიასთან იყო. ერთი გასროლა-ლა და უეჭველად მიზანს არ ააცდენდა.

ყველა ელოდა, საცაა გაისვრისო, მაგრამ ეს არ მოხდა და ირემი ტყისკენ გაიქცა.

განზილებულმა მონადირეებმა საყვედურებით აავსეს ილია.

– ისე ლამაზი იყო, რომ მოსაკლავად ვერ გავიმეტე! – თავი იმართლა მწერალმა.

კულაჭუპი*


ნუნუ ჯანელიძე

ერთი, ორი, სკუპი, სკუპი,
დატრიალდა ჭულაჭუპი.
დაედევნა მსუქან ზებრას,
უყვარს მისი გაბრაზება.

მოეხვია ყელზე ირემს,
აღმა-დაღმა არბენინებს;
ნახეთ, დაღლილ, ბებერ აქლემს,
აქეთ-იქით თავს რომ აქნევს,
დასტრიალებს, როგორც ბუზი,
მოზზრიალე ჭულაჭუპი.

ემმაკუნა ჭულაჭუპმა,
სად ირბინა, სად ისკუპა
და ბოლოს ზღარბს, როგორც ხუფი,
ჩამოემხო ჭულაჭუპი.

იტრიალა, არ გაჩერდა
და ეკლებში გაიჭედა.
დარდობს ძღარბი, ზღარბუნია,
მოსდის ცრემლი ღაპა-ღუპით:
– როგორ მსურდა, მეც სხვებივით
მეთამაშა ჭულაჭუპი.



* – ტანვარჯიშის სალტე.

ბრიგოლ აბაშიძე

ზამთარი

ტყის სიმწვანე სად წასულა,
ჩიტუნები სად არიან?
თოვლი მოდის, ქარი წივის:
„ზამთარია! ზამთარია!“



ანზორ სალუქვაძე

მაია

ყვავილებში ჩამალულა,
ძლივსლა მოჩანს მაია,
მის პატარა ხელისგულზე
დადის ჭიამაია.



ლეილა ბაბრატიონ-ბაბაღიში

თოვლის ჰაჰა

თოვლის ჰაჰა ისე მორთეს
დარეჯანმა, ვანომ, ნელიმ,
სანახავად ჩერდებოდა
გამვლელი და გამომვლელი.



ავთანდილ მებრელიშვილი

მუხა და კოფალა

- ხეკაკუნა, ქენი მადლი,
მომაშორე ჭია-მატლი!
- მუხავ, ისე შემიყვარდი,
მაგას როგორ დაგამადლი!

"აფუქიოში" ახალია და ძაღზე სახალისო ხუბიკა გვაქვს "მხიარული ლექსიკონი". ჰატახების სასაუბრო ენა, ვიდეო ისინი აღაჰაჩაქებინან, ერთმანეთისგან სხელიად განსხვავებულია, თავისუბუი გამოთქმებით ზოგჯეი ძაღზეც სასაცილოც. თითოეული ჰატახა გამოცანაა, ხომელიც ჩვენგან, დიდებისგან, ითხოვს, გავუგოთ მათ; მაგალითად, ხას ნიშნავს მათ ენაზე "ფოთოფათაღა", "იამა", "ბაღაღო" და ა.შ. მოდით, ყვეღამ ერთად "ჩავიხედოთ" "მხიარულ ლექსიკონში".



2 ნღის ქეთი ზაქარაღა

- ბაკიკი** – კუბიკი
- ბაღაღო** – მაღლობა
- უტუღუ** – უყურე
- თოუ** – გთხოვ
- ბუკუ** – კურღლეღი
- მჰამჰა** – ნყალი
- ბელი მჰამჰა** – ზღვა, მდინარე
- კოკიკი** – ტორტი
- ეკეღა** – ეკლეღია
- ბუციცი** – ბოღიში

3 ნღის ირავღი და გიორგი ზაქარაღები*

- ავო მოღი** – ახლოს მოღი
- ფოთოფათაღა** – ფოროთოხალი
- ჟიფათა** – ჟირაფი
- სამოთო** – საზამთრო
- ლომოგო** – ორცხობიღა
- ღანღინღი** – დადინეღა
- უტუტუ** – იოგურტი
- კოკი** – კვერცი
- კუღუღუ** – კურღლეღი
- კუნკინკი** – ყურღენი
- ფინფინფი** – თვიომფრინავი
- იამა** – იასამნისფერი
- აბუგუ მაგანგა** – აგურისფერი მანქანა
- ტაბუტი** – სტაფილო
- ობე** – ველოსიპედი
- ზახუნნი** – სამსახური
- სიმანქეღა** – სირაქლემა
- კაბეტიღი** – კარტოფიღი
- კამა** – სკუტერი
- ქეავეღა** – ქლიავი
- ქაქუქი** – სახურავი



* – ტყუბებს საღაპარაკო ლექსიკაც ერთნარი აქვო.

მზეთუნახავი რინა

აფხაზური თქმულება

აფხაზეთში, იქ, სადაც ახლა რინის ტბაა, იყო ულამაზესი ხეობა, სადაც ჩამოედინებოდა მშვიდი მდინარე.

იმ შორეულ წარსულში აქ ცხოვრობდა მზეთუნახავი და კეთილი გოგონა, სახელად რინა. მას სამი ძმა ჰყავდა – აგეფსთა, აცეტუკა და ფშეგიშხა.

რინას ტუჩებს მთის ალისფერ ყაყაჩოს ადარებდნენ; ამბობდნენ, ისეთი ქათქათა სახე ჰქონია, მთის უთეთრესი თოვლიც კარგავდა თავის ელვარებასო; ზღვასაც კი უნატრია გოგონას ლურჯი თვალების ლივლივა ფერი...



ძმები ხშირად მაღალ და სწრაფფეხება ქურციკებზე ნადირობდნენ. სალამოობით, სახლში მობრუნებულთ, დაიკო მათ ცხელ სადილს ახვედრებდა. მერე ყველანი ერთად ბუხრის წინ ტკბილად მიღროდნენ.

ერთ დღესაც ძმები დაემშვიდობნენ საყვარელ დაიკოს და საშოვრისთვის გაუდგნენ შორეულ გზას. როცა ხეობა ჩამავალი მზის მენამული ფერით შეიღება, რინას სევდა შემოაწვა. ძმები არ გამოჩნდნენ არც მეორე, არც მესამე დღეს. მათ ამდენი ხანი არასოდეს მიუტოვებიათ დაიკო.

ჩემს ძმებს, იქნებ, ნისლი უშლის ხელს, რომ შინისაკენ გზა გაიგნონო, გაიფიქრა რინამ და გადანყვიტა, მათთვის ხმა მიენვდინა.

გავიდა აივანზე, დახუჭა თვალები და ყველაზე სევდიანი ხმით ამღერდა.

მთელს ხეობას მოეფინა მზეთუნახავი რინას ჯადოსნური, მაგრამ ნალვლიანი ჰანგები. სხვა დროს არასოდეს გაეგონათ გოგონას ასეთი გულში ჩამწვდომი ხმა. ფრთოსნებსაც კი შეუნყვეტიათ თურმე იმ სალამოს გალობა. ამბობენ, რინას ჰანგებმა ნაკადულებიც კი შეაჩერა ცოტა ხნითო.

მაგრამ ბოროტებიც ხომ არიან ამქვეყნად. გოგონას ხმა ტყის ყაჩაღებმა – გეგამ და იუმარამ გაიგონეს.

ღაპკრეს ცხენებს მათრახები და გაეშურნენ იქითკენ, საიღანაც აღნეღა ხმა.

აიღანზე მღღღარი მზეთუნახავი რინას სიღამაზემ ორივე ავაზაკი გააშეშა. ასეთი მშვენიერება არასოდეს ენახათ და გაღანწყიტეს მისი მოტაცება. გოგონა მომხღურებს გაუძალიანღა.

ეს შეამჩნია ფერღობზე შემომღღღარმა შევარღენმა და მაშინვე გაღაიფრინა მთები, ხეობები და ამცნო ძმებს, თქვენი და გასაჭირშიაო.

შეშფოთებულმა ძმებმა მაშინვე პირი იბრუნეს და სასწრაფოდ ღაღღენ სახლისკენ გზას. როგორც კი ღაინახა აგეფსთამ, უფროსმა ძმამ, როგორ უძალიანღებოღა ყაჩაღს მისი ღაიკო, განრისხებულმა მახვილი აძგერა მტერს.

მაგრამ, საუბეღუროდ, ააციღა. მახვილი ჩავარღა მღინარეში და ნყლის ღინება შეაჩერა. სამაგიეროდ ნყალმა ხეობაში ღაინყო თანღათან მომატება და მალე იქ ტბა გაჩნღა.

რინამ ღაინახა მის საშველად მოსული ძმები, რამაც მეტი მხნეობა შესძინა. ღაუსხლტღა კიღეც ყაჩაღებს ხელიღან, მაგრამ მოულოღნელად მოუსრიალღა ფეხი და ახლადგაჩენილ ტბაში გაღავარღა. მზეთუნახავი რინა ტალღებში გაუჩინარღა. მოძალადე ყაჩაღებიც ტბამ შთანთქა.

იმასაც ამბობენ, რომ რინის ტბის ხეობას სიმწვანეში ჩაფლული სამი მალღლი მთა რომ ღაპყურებს, ეს ჯავრისგან გაქვევებული სამი ძმის ქანღაკებაა. ისინი ღღესაც ღაპყურებენ და იცავენ ტბას; ასე მფარველობს „რინის“ მარაღიულ ძიღსა და სიმშვიღეს სამ მთად ქცეული სამი ძმა.





ტაისია
კოპალეიშვილი

ჩვენი ჰატაჩა ხესპოდენტი 4 წლის ტაისია კოპალეიშვილია, ძაღუ ცელი, საზიხანი და კომენიკაბელი გოგონა. უზომოდ გაიხაჩა, ხოცა გაიგო, ხომ საბავშვო ვუხნალის მიეჩ დანმეტი კითხვებისთვის უნდა ეპასუხა. ეს აღმორჩნდა მისთვის უზომოდ სახალისო ჰიოცესი.

კეთილი და საოცხად გონიეჩი ტაისია ბუნებით ჰიოცესტანტია (თუმცა, საზიხან ბავშვს ყოველთვის ვეჩ აუხსნი, ხატომაა აუცილებელი სხვანაიხად მოიქცეს).

გელისხმიეჩი ტაისიას შეუძლია, მოითხოვოს, ქეჩაში შემთხვევით გაცნობილი ბავშვიც კი წამოიყვანონ სახლში, ჩემს დედიკოსაც გავუყოფო. ძაღუ უყვარს ბალი და ბაღელები, იქ ყოფნა, სადაც ბევი ხაღხია, ძიღის წინ ზღაპხების მოსმენა (განსაკუთხებით მოსწონს "ნაცაჩქეჩა") და გემიეჩი საჭმელები.

ხაზე მოცნობობს 4 წლის დედისეხთა ტაისია?

სახლში, მასთან ეხთად ცხოვხობდეს ბევი, ბევი ბავშვი, ხომელთაც ახასოდეს აწყენინებს.

ხა სახალწლო სუხვიდი აქვს?

თოვლის ბაბუას, ხომელსაც, მისი ფიქით, აქვს ბევი ფული, აყიღინოს "მახთადი" ეპკოპი.

მამ, მოვესმინოთ ეუღაქა ტაისიას.

– დიღით რომ გაიღვიძო და თოვლის ბაბუა დაგხვდეს ლოგინთან, რას ეტყვი?

– ვეტყვი, რომ მიყვარს და ჩემთან დარჩეს.

თუ იცი, ვინ არის ულუკმაპურო?

– ვინც ყველაფერს ჭამს.

– ღამე ცაზე რატომ არ არის მზე?

– იმიტომ რომ, ის ღამე იძინებს.

– რას ნიშნავს ბრანდი-ბრუნდი?

– ტრიალს და ბზრიალს.

– ვინ არის თავქარიანი?

– ხარი არის თავქარიანი (წარმოიდგინა რქიანი არსება – რედ.).

– რას ნიშნავს „სიციღით მოკვდა“?

– სიციღისგან ჩაი...ა და სულ დასველდა.

– რა არის ოპერაცია?

– ექიმი, ვინც ხელს კერავს.

– ვინ არის პრეზიდენტი?

– პრეზიდენტი ზის სკამზე და უკრავს.

– რამდენია ბევრი?

– ბევრი არის 18.

– საათი რომ დაღის, სად მიღის?

- მიდის ეზოში.
 - იტყვიან, „ყვავილმა გაიხარა“; რა უხარია ყვავილს?
 - სიხარული და ოცნება.
 - ვინ არიან ტყუპები?
 - ტყუპები არიან ჩემთან ბაღში.
- სხვადასხვა სახე აქვთ, მაგრამ მაინც ტყუპები არიან.
- რა არის ფიქრები?
 - რომ იფიქრებ თავში.
 - ჩიტები დაფრინავენ. შენ რატომ არ დაფრინავ?
 - მე როგორ ვიფრენ, ფრთები არ მაქვს.
 - შენ რატომ არ გაქვს ხელფასი?
 - იმიტომ რომ, მამიკოს აქვს.
 - მთვრალი ადამიანი როგორ იქცევა?
 - ძალიან ცუდად. ყველაფერს ძირს ყრის და ბრაზუნობს.
 - ვის აქვს ცისფერი სისხლი?
 - პრინცს.
 - როგორია ორგული ადამიანი?
 - კარგი, ორი გული აქვს და კეთილია.
 - ჭიანჭველა სად ცხოვრობს?
 - მიწაში და ტალახში.
 - სად ცხოვრობენ დევები?
 - სიბნელეში.
 - როგორია შხაპუნა წვიმა?
 - ცუდი, დიდი და მსხვილი.
 - მგელმა რატომ შეჭამა ნითელქუდა?
 - იმიტომ რომ, ძალიან შიოდა.
 - სად ცხოვრობს მეზღაპრე?
 - მარტო ცხოვრობს სასახლეში.
 - რა არის ცისარტყელა?
 - ფერებია ლამაზი და ბევრი.
 - თოვლის ბაბუამ რა უნდა მოგიტანოს ახალ წელს?

- თოვლის ბაბუას ბევრი ფული აქვს და მინდა, „მართალი“ ლეპტოპი მიყიდოს.



ტაისია კოპალეიშვილი



ტაისია კოპალეიშვილი

ოლგა ვისოცკაია
თარგმნა დალი მუხაძემ

გაზაფხულის ჰერანგი

გუბურებმა ჩაიცვეს
კაბა ფერად-ფერადი,
გვირილებმა – ქათქათა,
უნაზესი პერანგი.

ორლობესთან ყაყაჩომ
ხალიჩები მოქარგა,
ბაიამ კი ყვითელი
ღილი მიკარგ-მოკარგა.

მწვანედ ამობიბნდა
ნორჩი, ქორფა ნეკერი,
ია კაბას იზომავს
მზის სხივებით შეკერილს.



ორი ვაშლი

ოლგა ზოლსუნოვი



პატარა გოგონამ ეზოდან ამოიტანა ორი
ვაშლი, ერთ კეთილი ბერიკაცის ნაჩუქარი.

– ნახე, დედიკო, როგორი ვაშლები მაჩუქა
ერთმა ბაბუმ!..

– უი, რა კარგია! მეც ხომ მინილადებ? –
შეეკითხა დედა.

გოგონამ დახედა ვაშლებს, მერე ჯერ ერთი
ვაშლი ჩაკბინა, მერე კი, წამიერად ჩაფიქრდა და...
გემო მეორესაც გაუსინჯა.

დედას გაუკვირდა. ცოტათი გულიც დაწყდა:
– არ მეგონა, ჩემი გოგონა სიძუნეს თუ
გამოიჩინდა. ორივე ვაშლი იმიტომაც ჩაკბინა, არც
ერთი რომ არ მოეცა ჩემთვის!

მაგრამ, თურმე, დედიკო ცდებოდა, არ სცოდნია,
როგორი კეთილი გოგონა ჰყოლია. პატარამ დედას
ორიდან ერთ-ერთი ვაშლი გაუწოდა:

– დედიკო, აი, ეს ვაშლი აილე! ეს უფრო გემრიელია და იმიტომ!



თამუნა ზაქარაია – 12 წლის ფოტოები

გადმოფრინდნენ ფოტოები,
გადაფარეს მინდვრები,
გაანითლეს ველები,
გაამიშველეს ხეები.

ყვითლად მოსჩანს ბარი და
ნაირფერი ბალები,
ნიავეს მიაქვს ფოტოები,
ხეთა ჭრელი კაბები.

ალარ ატობს მზე ციდან,
ცივა, გარეთ ვერ ვზივარ,
თეთრი თოვლი ქვეყანას,
ეფინება ზეციდან.

სახოჯოჭინო

ბავშვებო, გეძღვით ჰატა სახოჯოჭინო დავლება.

სალომე და თედო ხელოვნების სკოლაში დადიან, მაგამ სხვადასხვა
ელასში სწავლობენ. სალომე 1„ა“ ელასის მოსწავლეა, თედო ჟი - 1„ბ“-სი.
ოხივე ეშხალება სკოლაში წასასვლელად.

გაყვით დაბიხნის და გაიგებთ, ხომელი მიდის ხატვის გაჯვეთილზე
და ხომელი - მუსიკის.





„იალქინანი გემი“. ანასტასია მოთიანუშვილი. 12 წლის, სოხუმი.